

სსიპ -ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (მიმწოდებლის მასალებით) (CPV**50112000**) სახელმწიფო შესყიდვა

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 2017წ.

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის ---------- 3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია ---------- 4-5
3. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ პროექტი ---------- 6-10
4. დამატებითი ინფორმაცია ---------- 11
5. დანართი №2 ტექნიკური დავალება ---------- 12-13
6. დანართი №3 ავტომანქანების ჩამონათვალი ---------- 14
7. დანართი №4 რეკვიზიტები ---------- 15
8. დანართი №5 დეფექტური აქტი ---------- 16
9. დანართი №6 მიღება-ჩაბარების აქტი ---------- 17

ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1. **იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. შემსყიდველის მიერ მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება უნდა განხორციელდეს შესაბამისი აკრედიტაციის მქონე ორგანოს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნით.**

1. პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. შემსყიდველის ტექნიკური დოკუმენტაცია

შესყიდვის ობიექტი: სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1-ისა (ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული იქნება ცალკე ფაილის სახით) და დანართი №2-ის შესაბამისად;

2.1 შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 10000,00 (ათიათასი) ლარი დღგ-ს გათვალისწინებით. ხოლო პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება: 192998,00 (ასოთხმოცდათორმეტიათას ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

2.1.1 პრეტენდენტი ელექტრონული ვაჭრობისას წინადადების ფასის კლებას ახორციელებს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებაში.

2.1.2 სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

2.1.3 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში - ლარებში.

2.1.4 პრეისკურანტში ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და სათადარიგო ნაწილის არარსებობისას, აღნიშნულის ერთეულის ფასი უნდა დადგინდეს შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით მისი საბაზრო ფასის გათვალისწინებით. პრეისკურანტში ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვების ხვედრითი წილი ჯამში არ უნდა აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10 %-ს.

2.1.5 სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის დანართში N1 მოცემული მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების ერთეულის ფასის ჯამური ღირებულების (პრეისკურანტი) მიხედვით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებული პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებას თითოეული პოზიციის მიხედვით. თუ რომელიმე პოზიციაზე პრეტენდენტი საქონელსა და მომსახურებას გვთავაზობს უფასოდ, ერთეულის ფასის შესაბამის გრაფაში უნდა ჩაიწეროს „0”, ხოლო იმ პოზიციებზე სადაც შესაბამისი უჯრა ცარიელია, იგულისხმება რომ აღნიშნულ პოზიციაზე შემსყიდველის მიერ საქონელი და/ან მომსახურება არ მოითხოვება. ცხრილში მითითებული მომსახურების ფასი უნდა იყოს საბოლოო და საჭიროების შემთხვევაში მოიცავდეს კონკრეტული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული თანმდევი მომსახურების ღირებულებასაც.

2.1.6 ელექტრონული ვაჭრობის შემთხვევაში, ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასიდან გამომდინარე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ პრეისკურანტით გათვალისწინებული ერთეულის ღირებულებები დაკლებული უნდა იქნას პროპორციულად ყველა პოზიციაზე, პრეისკურანტის თავდაპირველ ჯამურ ღირებულებასა და ვაჭრობის შედეგად სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ღირებულებას შორის არსებული სხვაობიდან გამოთვლილი პროცენტის (ფასის კლების პროცენტი) შესაბამისად. ამასთან პროცენტული ფასდაკლების შემდგომ, თუ პრეისკურანტში საბოლოო ერთეულის ფასი მიღებულია მრავალნიშნა ციფრი, მაშინ ის უნდა შეამციროს მეასედამდე. შესაბამისად შემცირდება პრეისკურანტის ჯამური ღირებულებაც.

2.2 ანგარიშსწორების პირობები:

2.2.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.2.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შედეგად მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

2.2.3 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.3. ტექნიკური დავალება, მომსახურების გაწევის ადგილი, მიწოდების ვადები და პირობები, საგარანტიო პირობები და ავტომანქანების ჩამონათვალი:

2.3.1. ტექნიკური დავალება, მომსახურების მიწოდების ადგილი, მიწოდების ვადები და პირობები და საგარანტიო პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართში N2.

2.3.2. ავტომანქანების ჩამონათვალი მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციის დანართში N3.

2.4 პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ინფორმაცია:

2.4.1. სატენდერო წინადადების ფასი, პრეისკურანტი (ხარჯთაღრიცხვა), გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი სატენდერო დოკუმენტაციის დანართის N1 მიხედვით; **პრეისკურანტი მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს Exel-ის ფორმატში.**

2.4.2. თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციის დანართით N2 გათვალისწინებულ ტექნიკურ დავალებაზე, მომსახურების მიწოდების ვადებზე, საგარანტიო პირობებზე. ინფორმაცია ავტოტექმომსახურების სერვისცენტრების მისამართების შესახებ.

2.4.3. რეკვიზიტები სატენდერო დოკუმენტაციის დანართის N4 მიხედვით;

2.4.4. პრეტენდენტის მფლობელობაში არსებული სერვისცენტრების ჩამონათვალი მისამართების და მფლობელობის ფორმის (საკუთრება, იჯარა და სხვ.) მითითებით. იმ შემთხვევაში, თუ ავტოსახელოსნო(ები) არ წარმოადგენს პრეტენდენტის საკუთრებას, სისტემაში უნდა აიტვირთოს სარგებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც უნდა მოქმედებდეს **არანაკლებ 2017 წლის 31 დეკემბრისა.** (სერვისცენტრების განთავსების ადგილი და რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის დანართის N2 მოთხოვნებს).

2.4.5. ინფორმაცია მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესახებ (უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის დანართის N2 მოთხოვნებს).

2.4.6. პრეტენდენტმა სისტემაში უნდა ატვირთოს ინფორმაცია მსგავსი ტიპის მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ. პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 2 წლიანი ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება აღნიშნულის დასადასტურებლად პრეტენდენტმა ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა ატვირთოს შესაბამისი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები. ხოლო თუ მიმწოდებელს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციასთან, საკმარისია მითითებულ იქნას SPA ან CMR ნომრები.

სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყარო: საბიუჯეტო სახსრები

პროექტი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება

ქ.თბილისი ---------- **2016 წელი**

ერთის მხრივ, **სსიპ ბირთული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო** (შემდგომში - „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი ---------- სახით და მეორეს მხრივ ---------- (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი ----------სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ბალანსზე რიცხული, სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №3-ით განსაზღვრული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ავტოტექმომსახურება მიმწოდებლის ახალი, ქარხნული სათადარიგო ნაწილებით.

1.2 შემსყიდველმა გამოაცხადა 2017 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის თანახმად, საკუთარი სახსრებით სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოევბის სააგენტოს ბალანსზე რიცხული დანართით №3 გათვალისწინებული ავტომობილების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების გამარტივებული ელექტრინული ტენდერის შესყიდვა (**CPV50112000**). სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (**SPA----------**) შედეგების გათვალისწინებით მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება --------- ლარად (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

1.3. გასაწევი მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების ერთეულის ფასები მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1 (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N1), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

2.1.1 ავტოსახელოსნოში ყველა კონკრეტულ ჯერზე შესვლისას, ყოველ ა/მანქანას თან უნდა ახლდეს დეფექტური აქტი (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №5-ის შესაბამისად).

2.2 ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1 მიწოდებული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართით №1 (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1) გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალთან და ხელშეკრულების დანართით №2-ით გათვალისწინებულ ტექნიკურ დავალებასთან (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი№2) შესაბამისობის დადგენა; გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება; მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

2.2.2 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

2.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ ბირთული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს _____ თანამშრომელი.

3. გასაწევი მომსახურების ტექნიკური დავალება

3.1 სათადარიგო ნაწილებისა და გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1 (სატენდერო დოკუმენტაციის დანართში №1), ხოლო შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება, მოცემულია ხელშეკრულების დანართში №2 (სატენდერო დოკუმენტაციის დანართში №2).

3.2.ავტომობილების მოდელი, სახ. ნომრის და საწვავის ტიპის მითითებით მოცემულია ხელშეკრულების დანართში №3

3.3. ხელშეკრულების დანართი №1, დანართი №2 და დანართი №3 წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. მომსახურების მიწოდების ადგილი, პირობები, ვადები და საგარანტიო ვადები

4.1.მომსახურების მიწოდების ადგილი, პირობები, ვადები და საგარანტიო ვადები მოცემულია ხელშეკრულების დანართში №2 (სატენდერო დოკუმენტაციის დანართში №2).

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.

5.2 წინამდებარე პუნქტის 5.1 ქვეპუნქტით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის გაკეთებული დეფექტური აქტი დანართი №5-ის შესაბამისად.

5.3 შემსყიდველის მხრიდან გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს _____ თანამშრომელი.

5.3 იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების დანართით №1 და დანართით №2 გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულების 2.3. პუნქტით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მომსახურების მიღებას, ხოლო თუ, მომსახურების მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ მიწოდებული მომსახურება არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართით №1 და დანართით №2 გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულების 2.3. პუნქტით განსაზღვრული პირი მიმწოდებელს აცნობებს აღნიშნულის შესახებ, რის შემდეგაც შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი მომსახურება და მოსთხოვოს მიმწოდებელს საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ნაკლოვანი მომსახურება.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის საფუძველზე.

6.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.2. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.1.3.გაავრცელოს გარანტია გაწეულ მომსახურებაზე და სათადარიგო ნაწილებზე ხელშეკრულების დანართით N2 გათვალისწინებული ვადით.

7.1.4. საკუთარი სახსრებით დროულად აღმოფხვრას საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ყველა ნაკლოვანება.

7.1.5. უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, შემსყიდველის ან ხელშეკრულების 2.3. პუნქტით გათვალისწინებული პირის მოთხოვნიდან დაუყოვნებლივ ან გონივრულ ვადაში.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1.დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების კონტროლი.

8.2.2 განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევიმიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. თუ მომსახურების პროცესში აღმოჩნდება, რომ საჭიროა ისეთი მომსახურების ან სათადარიგო ნაწილის შესყიდვა, რომლიც გათვალისწინებული არ არის ხელშეკრულების დანართში №1 (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1), ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს ხელშერკრულებაში ცვლილება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. გაუთვალისწინებელი მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილის ერთეულის ფასის განსაზღვრა ხდება შემსყიდველთან შეთანხმებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საბაზრო ფასს, ხოლო გაუთვალისწინებელი მომსახურების ან სათადარიგო ნაწილის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს პრეისკურანტის ჯამური ღირებულების 10%-ს .

10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროონ, რათა შეთანხმებით მოაგვაროონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას:

13.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.2. ხელშეკრულების 13.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობის არსებობისას;

14.3 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

14.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის _____ ჩათვლით, გარდა საგარანტიო პირობებით განსაზღვრული ვადებისა.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.2 ხელშეკრულების 2 (ორი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

დამატებითი ინფორმაცია

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ”გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” №9 ბრძანების შესაბამისად. ინსტრუქტაჟი შესაძლებელი ასევე იხილოთ http://procurement.gov.ge/

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა და დამატებითი ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირი არის სატენდერო კომისიის აპარატის წევრი თამარ გულიაშვილი საკონტაქტო ინფორმაცია: +995 591 40 40 12 ელ.ფოსტა: takoguliashvili24@gmail.com

სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის საშუალებები და პროცედურა: ტენდერისთვის ,,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებიდან ამავე პუნქტის „მ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 24 საათისა, ნებისმიერ მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოითხოვოს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება.

დანართი N2

ტექნიკური დავალება

1. სატრანსპორტო საშუალებების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (სერვისი-სათადარიგო ნაწილები) გულისხმობს ავტოსატრანსპორტო საშუალებების დროულ და სრულყოფილ შეკეთებას; პროფილაქტიკური და დიაგნოსტიკური სამუშაოების ჩატარებას; ავტომობილის ნაწილების შეკეთებას და/ან გამოცვლას, რაც გათვალისწინებულია დანართი N1-ში.

2. სატრანსპორტო საშუალებების დაზიანებული ნაწილები უნდა შეიცვალოს ახალი, ქარხნული წესით დამზადებული სათადარიგო ნაწილებით (შემსყიდველთან შეთანხმების შემთხვევაში მეორადი ნაწილებით).

3. შემსყიდველის მიერ ავტომანქანის მიმწოდებლის სერვისცენტრში მიყვანისთანავე მიმწოდებელი ვალდებულია შეადგინოს სადეფექტო აქტი და შემსყიდველის თანხმობის (შესაძლებელია შემსყიდველის მიერ განხორციელდეს დეფექტურ აქტში მითითებული მომსახურების ან საქონლის დასახელების ან/და რაოდენობის კორექტირება ობიექტური მიზეზით) შემთხვევაში მისი ორივე მხარის მიერ ხელმოწერის შემდეგ მიმწოდებელმა უნდა დაიწყოს მომსახურების განხორციელება დანართით N1 (პრეისკურანტი) განსაზღვრული ფასების შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი აჭიანურებს სადეფექტო აქტის შედგენას ან არ აწერს დეფექტურ აქტს ხელს შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებელთან.

4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ არ არის სრულყოფილად შესრულებული მომსახურება და/ან შეცვლილი ნაწილი აღმოჩნდა წუნდებული, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოჩენილი ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ ან გონივრულ ვადაში შემსყიდველთან შეთანხმებით.

5. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მომსახურების გაწევა დანართით №3 გათვალისწინებულ ავტომობილებზე.

   <u>აუცილებელი პირობა:</u> პრეტენდენტი უნდა ფლობდეს მინიმუმ **2 (ორი)** ერთეულ ავტოსახელოსნოს, მათ შორის აუცილებლად:

   1 ერთეული ქ. თბილისში,

   1 ერთეული ქ. ფოთი,

   რომელიც უნდა იყოს ტექნიკური დავალების (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №2) მე-6, მე-7, და მე-8 პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისი. ამასთან პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ავტოსახელოსნოს(ების) საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ ავტოსახელოსნო(ები) არ წარმოადგენს პრეტენდენტის საკუთრებას, სისტემაში უნდა აიტვირთოს შესაბამისი ხელშეკრულებები (იჯარის ან სხვა სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), რომლის მოქმედების ვადა უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ 2017 წლის 31 დეკემბრისა.

6. ავტოსერვისი უნდა იყოს აღჭურვილი თანამედროვე მოწყობილობებით. შრომის უსაფრთხოების წესების გათვალისწინებით;

7. ავტოსერვისს უნდა გააჩნდეს დაცვით უზრუნველყოფილი ავტოსადგომი მინიმუმ 10 მანქანაზე, მინიმუმ 2 გასასინჯი ორმო ან/და 2 ცალი საავტომობილო ამწე, ვულკანიზაცია, რობოტი, მინიმუმ 2 სათუნუქე

ბოქსი, მინიმუმ 2 საშრობი (სუშილკა), უნდა ჰყავდეს ზეინკალი.

8. ავტოსერვისმა უნდა უზრუნველყოს მობილური მომსახურების ჯგუფი საჭიროების შემთხვევაში და ევაკუატორით მომსახურება ქვეყნის მასშტაბით.

მომსახურების გაწევის ვადები

1. მომსახურების გაწევა უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ, რიგგარეშედ, დანართით №3 გათვალისწინებული ავტომანქანის წარდგენისთანავე ამასთან, მომსახურების ვადა თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაზე განისაზღვრება მხარეთა მიერ.

2. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საგარანტიო პირობები

1. საგარანტიო პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია დაუყონებლივ, შემსყიდველის ზედმეტი დანახარჯების გარეშე, აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი/დაზიანება.

2. გაწეულ მომსახურებაზე და შეცვლილ ნაწილებზე უნდა ვრცელდებოდეს გარანტია შემდეგი პირობებით:

ა)აგრეგატები და ელექტროობაა - არანაკლებ 1 წელი;

ბ) სავალი ნაწილები - არანაკლებ 6 თვე.

მომსახურების გაწევის ადგილი

პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს სერვის ცენტრის მისამართები ქვემოთ მითითებული ცხრილის შესაბამისად

N	ავტოტექმომსახურების სერვის ცენტრის მისამართი (ივსება პრეტენდენტის მიერ)
1	
2	
3	
.....	

(ხელმოწერა) *(ბ.ა. ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)*

დანართი №3

ავტომანქანების ჩამონათვალი

#	ავტომანქანის სახ.ნომერი	ავტომანქანის მარკა და მოდელი	გამოშვების წელი	ID	ძრავის მოცულობა
1	AA-107-CA,	TOYOTA “LAND CRUISER PRADO“	2008	JTEBL29J705125700	2,7
2	BB-417-AA,	TOYOTA “HILUX“	2009	MROFR22G790536450,	2,5
3	QQ-878-VV	MITSUBISHI “PAJERO”	2009	JMYLRV93W9J703898,	3,0
4	OO-549-YY	VOLKSVAGEN LT50D	1987	WV2ZZZ29ZHH006145	2,4

(ხელმოწერა) *(ბ.ა. ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)*

_____ _____

დანართი N4

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული ფოსტის მისამართი:

მომსახურე ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

_____ _____

(ხელმოწერა) *(მ.ა. მეჭდის არსებობის შემთხვევაში)*

დანართი N5

დეფექტური აქტი

	შემსყიდველი	
	მიმწოდებელი	
	თარიღი	
	ავტომანქანის მოდელი	
	სახელმწიფო №	
	გამოშვების წელი	
	გარბენი	

№	შესასრულებელი სამუშაო	რაოდ	განზ	ერთ. ღირ.	ფასი	№	შესაცვლელი სათადარიგო ნაწილი	რაოდ	განზ	ერთ. ღირ.	ფასი
შესასრულებელი სამუშაოს ჯამი					0.00	შესაცვლელი სათადარიგო ნაწილების ჯამი					0.00
საერთო ბადასახდელი თანხა							0.00				

შემსყიდველი: ----------

მიმწოდებელი:----------

დანართი N6

მიღება-ჩაბარების აქტი

	შემსყიდველი	
	მიმწოდებელი	
	თარიღი	
	ავტომანქანის მოდელი	
	სახელმწიფო №	
	გამოშვების წელი	
	გარბენი	

№	შესრულებული სამუშაო	რაოდ	განზ	ერთ. ღირ.	ფასი	№	შეცვლილი სათადარიგო ნაწილი	რაოდ	განზ	ერთ. ღირ.	ფასი
შესრულებული სამუშაოს ჯამი					0.00	შეცვლილი სათადარიგო ნაწილების ჯამი					0.00
								0.00			

შემსყიდველი: ----------

მიმწოდებელი: ----------